ხელშეკრულება №38

ქ. თბილისი თებერვალი 2023 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ-საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში - „შემსყიდველი”) მისი მენეჯერი აკაკი მაისურაძე და მეორე მხრივ შპს “ჯი პი გრუპი” (შემდგომში - „მიმწოდებელი”) წარმომადგენელი მისი დირექტორი უშანგი ჩიხლაძე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლო შპს “ჯი პი გრუპი” - სგან შეისყიდის ერთჯერად ჭიქებს (CPV39222120).

2. შესასყიდი საქონლის ფასი

2.1 ერთჯერადი ჭიქა 90 000 ცალი - 1 ერთი ცალიას ფასი 0.021 ლარი.

2.2. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 1 890.00 (ერთი ათას რვაას ოთხმოცდაათი ლარი) ლარს.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონელი გადაეცემა „შემსყიდველს” ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი, ფოთის ქ. №12/14

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. საქონლის ღირებულებას „შემსყიდველი” იხდის საქართველოს ეროვნული ვალუტით, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორებით, `მიმწოდებლის” მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. განგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არა უმეტეს 7 (შვიდი) კალენდარული დღე.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ `საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით „შემსყიდველ" ორგანიზაციაში გამოყოფილია კოორდინატორთა ჯგუფი - ფინანსების მართვისა დალოჯისტიკის ცენტრის მთავარი კონსულტანტი გიორგი სარაჯიშვილი.

7.2. კოორდინატორის ფუნქციებია: შესყიდული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, ხელშეკრულების პირობების თანახმად `მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

8. მხარეთა უფლება _ მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს `შემსყიდველს" სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მოწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სრულად ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2. თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 1.0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 11 აპრილის ჩათვლით.

11.2. მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი - „შემსყიდველს", ერთი - „მიმწოდებელს").

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საიდენტიფიკაციო კოდი 203860508
ძმ. ზუბალაშვილების №6
ტელ. 299 09 62.
ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022

აკაკი მაისურაძე

Akaki Maisuradze
Digitally signed by Akaki Maisuradze
Date: 2023.02.23 11:47:54 +04'00'

„მიმწოდებელი"

შპს „ჯი პი გრუპი"
საიდენტიფიკაციო კოდი 406 268 541
ქ. თბილისი, ფოთის ქ. №12/14
ტელ. 558 14 15 74.
ანგარიში:
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. №GE17 BG00 0000 0131 3429 66

უშანგი ჩიხლაძე